მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №50
2019 წლის 02 დეკემბერი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 85-ე მუხლის შესაბამისად მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა მესამე კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოადგინა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, რომელიც მოსმენილი და შეფასებულ იქნა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მ/წლის 2 დეკემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექის“ შესაბამისად

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. აღნიშნული განკარგულება გადეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ალექსი გაბისონია